პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტური განათლება

სსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

30 აგვისტო, 1937 წ. № 81 (881) ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს სტახანოვური მოძრაობის ორი წლისთავია

სტახანოვური მოძრაობა არ შეიძლება მუშათა და მუშა-ქალთა ჩვეულებრივ მოძრაობად მივიჩნიოთ. სტახანოვური მოძრაობა მუშათა და მუშა-ქალთა ისეთი მოძრაობაა, რომელიც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში შევა როგორც მისი ერთ-ერთი უაღრესად სასახელო ფურცელი.

**ი. სტალინი**

## ახალი სასწავლო წლის საბრძოლო ამოცანები

კიდევ ორი დღე და ზაფხულის დასვენების შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლები ახალი ძალითა და ენერგიით შეუდგებიან მუშაობას.

უაღრესად დიდი და სერიოზულია ახალი სასწავლო წლის საბრძოლო ამოცანები.

ახალი თაობის მტკიცე, საფუძვლიანი, დასისტემებული ცოდნა-ჩვევებით შეიარაღებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში ჩვენს სასკოლო მუშაობას გასულ სასწავლო წელს თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად მრავალი ნაკლი ახასიათებდა.

ჩვენი აყვავებული სოციალისტური სამშობლოს გამყიდველები, ჯაშუშები, მავნებლები, ხალხის მტრები, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ-ბუხარინელები ცდილობდნენ მოსწავლე ახალგაზრდობაზეც გაევრცელებიათ თავიანთი გავლენა, ჩაეშალათ სწავლა-აღზრდის საქმე, არევ-დარევა შეეტანათ სახალხო განათლების საქმეში. განათლების ორგანოების ყოველი მუშაკის, დირექტორის, მასწავლებლის, სასკოლო, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა— ძირშივე გასრისონ ხალხის მტრების ბნელური ზრახვების ყოველგვარი ცდები. დაუყოვნებლივ უნდა აღმოვფხვრათ მავნებლობის შედეგები, გავაძლიეროთ ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლე, შთავუნერგოთ მოსწავლე ახალგაზრდობას ჩვენი დიადი სამშობლოსადმი სიყვარული და გმირული თავდადება, მებრძოლი ათეიზმი და კომუნისტური იდეები.

დიადი სოციალისტური ეპოქის ღირსეული თაობის აღზრდა მოითხოვს, რომ თითოეული საბჭოთა პედაგოგი დაეუფლოს ბოლშევიზმს, მოსწავლეთა პოლიტიკურ აღზრდაში გამოიჩინოს შეტევითი ბოლშევიკური სიფხიზლე, რათა სრულიად აღკვეთილ იქნეს ხალხის მტრების გამხრწნელი გავლენის ყოველგვარი შესაძლებლობა სკოლასა და მოსწავლე-ახალგაზრდობაზე. თითოეულმა პედაგოგმა ნათლად უნდა გაითვალისწინოს მის მიერ ჩატარებული მუშაობა და დროულად დასახოს პრაქტიკული ღონისძიებები, რომ ახალ სასწავლო წელს უფრო მეტი წარმატებით იბრძოლოს სწავლის მაღალი ხარისხის მოსაპოვებლად და კომუნისტური აღზრდის მთელი სისწორით გატარებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილებები სკოლის შესახებ ჩვენი ყოველდღიური მუშაობის საბრძოლო პროგრამაა, რომლის პრაქტიკულად განხორციელებისათვის გაათკეცებული ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენს სკოლებს ჯერ კიდევ ახასიათებს „ძირითადი ნაკლი“.

მოსწავლეთა ზეპირ და წერითს მეტყველებაში საჭირო ცოდნა-ჩვევათა დანერგვის მხრივ რადიკალური გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა. სკოლები არაა მთლიანად უზრუნველყოფილი შესაფერად მომზადებული კადრებით. მოუწესრიგებელია მოსწავლეთა ცოდნის შეფასების მტკიცე და ერთიანი ნორმების საკითხი. ცალკე სასწავლო დისციპლინებში მეთოდური ლიტერატურის ნაკლებობას განვიცდით.

სასკოლო მუშაობის ვიწრო ადგილად ჯერ კიდევ რჩება პედაგოგიური პროცესის ორგანიზაცია. გაკვეთილის მაღალი ხარისხისთვის ბრძოლას ზოგან ნაკლები ყურადღება ექცევა. ხშირია შემთხვევა, როცა მასწავლებლები ზედმეტად იტვირთებიან გაკვეთილებით და მათ სრულებით აღარა რჩებათ დრო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

გეგმიანად უნდა წარიმართოს პედსაბჭოს მუშაობა. მან უნდა უზრუნველჰყოს სისტემატურად, კალენდარულ ვადებში სკოლის მუშაობის როგორც ნაკლის, ისე მიღწევების კონკრეტული გამოვლენა და პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა შემდგომში საქმის უკეთ წასაყვანად.

სასწავლო წლის პირველი დღიდანვე უნდა დავამკვიდროთ სკოლაში მტკიცე და სერიოზული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. საფუძვლიანად, თანმიმდევრულად, ფრიადზე შევათვისებინოთ მოსწავლე ახალგაზრდობას მეცნიერების საფუძვლები. მთელი სერიოზულობით და მონდომებით უნდა დავრაზმოთ მოსწავლეები დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხ. ლ. ბერიას მოწოდების განსახორციელებლად, რომ „გმირობა და ვაჟკაცობა მოსწავლეებისა—ეს არის სწავლა ფრიადზე. ეს ნიშნავს, გქონდეს ხუთი მათემატიკაში, ხუთი—გეოგრაფიაში, ხუთი—მშობლიურ ენაში, ხუთი—ისტორიაში, გქონდეს ხუთი თითეულ და ყველა საგანში“.

პარტიის, მთავრობის, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მზრუნველობით და ყურადღებით ჩვენს სკოლას ყოველგვარი პირობა აქვს წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა—დაიპყროს სწავლა-აღზრდის მწვერვალები. შეუპოვარი, ნამდვილად ბოლშევიკური ბრძოლით ამას უნდა მივაღწიოთ 1937-38 სასწავლო წელს.

მთავარია გაკვეთილი, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა. მასწავლებელი—სკოლის ეს ცენტრალური ფიგურა—მოფიქრებულად და მთელი სერიოზულობით უნდა ემზადებოდეს და ატარებდეს გაკვეთილს. თითოეულ მასწავლებელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ „საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 3 სექტემბრისა და 1936 წლის 4 ივლისის ისტორიულ გადაწყვეტილებებში დასმულია უდიდესი ამოცანები წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად სკოლებში, სწავლებისა და სწავლის ხარისხის ასამაღლებლად, პედოლოგიური ცრუმეცნიერების აღსაკვეთად და პედაგოგიკისა და პედაგოგის უფლებებში აღსადგენად. მთელი ენერგიით, ბოლშევიკური მგზნებარებით და შეუპოვრობით ბრძოლა ამ ამოცანების შესრულებისათვის საბჭოთა მასწავლებლობის წმიდათაწმიდა ვალი და ღირსების საქმეა“. (ლ. ბერია).

საბავშვო ბიბლიოთეკები ღარიბია შესაფერი ლიტერატურით, ხოლო სადაც არის საკმაო ლიტერატურა, სათანადოდ არ არის გამოყენებული. გამოცდილი და მცოდნე პედაგოგები ნაკლებად ხელმძღვანელობენ საბავშვო ბიბლიოთეკებს. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ბიბლიოთეკების მუშაობის გარდაქმნა მოსწავლეთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილების შესაბამისად — ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ბუნებისმეტყველების, ფიზიკისა და ქიმიის ხელსაწყო ინსტრუმენტები და პრეპარატები საკმაო რაოდენობით არ მოეპოვება ბევრ სკოლას და, რაც არის, ისიც შესაფერისად არაა გამოყენებული. ფართოდ უნდა მოვაწყოთ გამოცდილ და თავისი საქმის გულწრფელად მოყვარულ მასწავლებელთა მუშაობის პედაგოგიური გამოცდილების გაზიარება, რაც დიდად შეუწყობს ხელს სასკოლო მუშაობის გაუმჯობესებას.

საჭიროა უფრო ფართოდ და ენერგიულად გაშალონ მუშაობა სკოლებში კომკავშირულმა, პიონერულმა და მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციებმა, სკოლის დირექციასთან ხელიხელჩაკიდებულად, მოსწავლეთა მასების კომუნისტურად აღზრდისათვის.

1937-38 სასწავლო წელი უნდა გადავაქციოთ სკოლის „ძირითადი ნაკლის“ სრული ლიკვიდაციისა, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლის მაღალი ხარისხის მიღწევის წლად. აღვზარდოთ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერი ბავშვები დიად სტალინური ეპოქის ღირსეულ მოქალაქეებად!

# ხალხის ნება-სურვილით გაისრისენ სიღნაღის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ქვეწარმავალნი

## სიკვდილი ხალხის მოღალატეებს

საქართველოს მასწავლებლობა და კულტურული ფრონტის თითოეული მუშაკი სხვა მშრომელებთან ერთად გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ხალხის მტრების, სამშობლოს მოღალატეების: ა. წითლიძის, ალავერდაშვილის, კ. აბაშიძის და სხვა არამზადათა პროცესს. განუსაზღვრელ ზიზღსა და აღშფოთებას იწვევდა ყველაში დივერსიულ - მავნებლური ბანდის ჩვენებანი.

პროცესის მიმდინარეობის დროს მთელ რიგ სკოლებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებში ტარდებოდა კრებები, რომლებზედაც განათლების ფრონტის მუშაკნი გადაჭრით მოითხოვდნენ სამშობლოს მოღალატეების აღგვას პირისაგან მიწისა.

— არავითარი შებრალება იმპერიალიზმის ცოფიან ნაგაზებს: ა. წითლიძეს, შ. ალავერდაშვილს და სხვა დივერსანტებს, რომლებიც ცდილობდნენ ისტორიაში ჯერ გაუგონარი საშუალებებით გაენადგურებიათ ორდენოსან საქართველოს მიწა-წყალი, გაეხადათ ის მტაცებელ იმპერიალისტების სათარეშო მოედნად!

— ძაღლური სიკვდილი ხალხის, სოციალისტური სამშობლოს უსაზიზღრეს მტრებს — დივერსანტ-მავნებლებს, რომლებსაც უნდოდათ ჩვენ ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენა, საამური და ბედნიერი ცხოვრების ფეხქვეშ გათელვა!

— სიკვდილი, სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს, კულტურისა და სწავლა-განათლების მტრებს, რომლებიც ლამობდნენ მოესპოთ კოლმეურნეთა მასებისათვის შეძლებული და კულტურული ცხოვრება!

ასეთი იყო მასწავლებელთა მასების, პროფესორების, მეცნიერებისა და კულტურის ყველა მუშაკის მოთხოვნა იმ მრავალრიცხოვან მიტინგებზე, რომლებიც მემარჯვენე კონტრრევოლუციურ ტერორისტ-დივერსანტ მემარჯვენეთა გასამართლების დროს ტარდებოდა.

## უდიდესი კმაყოფილებით

ხალხის უსაზიზღრესი მტრების, მემარჯვენე კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - დივერსიული ბანდის მონაწილეთა — ა. წითლიძის, შ. ალავერდაშვილის და სხვა მოღალატეთა საქმის გამო სსრ უზენაეს სასამართლოს სპეციალურ გამსვლელ სესიის გამოტანილ განაჩენს აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები. ამ ცნობამ უდიდესი კმაყოფილების გრძნობა გამოიწვია მასწავლებლობასა და განათლების ფრონტის ყველა მუშაკში, რომელთა სახელდახელო მიტინგები ჩატარდა 29 აგვისტოს.

## ეს არის ხალხის განაჩენი

29 აგვისტოს შესდგა განსახკომის პირველი სკოლის მასწავლებელთა და მოსამსახურეთა კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა სსრ უზენაეს სასამართლოს სპეციალურ გამსვლელ სესიის განაჩენი მშრომელი ხალხის გამყიდველების, საზიზღარი ტროცკისტულ - ბუხარინულ ნაბოლარების, დივერსიულ - მავნებლური ბანდის მონაწილეთა საქმის გამო. სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ლ. აძრიაძე, ბ. სიხარულიძე, მ. ავანესიანი, ილ. სიხარულიძე და სხვები, რომლებმაც განაცხადეს: „ეს არის მთელი ხალხის განაჩენი. დაე, იცოდნენ ყველა ჯურის ქვეწარმავლებმა, რომ პროლეტარული სასამართლო არ დაინდობს მათ. რკინის ქოსლით გასრესს ყველას, ვინც გაბედავს ხელის აღმართვას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინც შეეცდება ჩააქროს კულტურისა და განათლების ჩირაღდანი, რომელმაც ასე გაანათა მეფის მთავრობისა და მენშევიკური სატრაპებისაგან წყვდიადში ჩაფლული საქართველოს ქალაქები და სოფლები.

## ხალხის მტრების საპასუხოდ

ჩვენ თბილისის მე-109 საშუალო სკოლის მასწავლებლები აღფრთოვანებით ვეგებებით სსრ უზენაეს სასამართლოს სპეციალურ გამსვლელ სესიის გადაწყვეტილებას ხალხის მტრების, გამცემლების, ჯაშუშებისა და დივერსანტების საქმის გამო.

პირობას ვიძლევით, რომ არამზადების მიერ ჩადენილ მავნებლური მუშაობის საპასუხოდ გავაძლიერებთ ბრძოლას ბოლშევიზმის დაუფლებისათვის, რათა უკეთ შევძლოთ კულტურული ფრონტის ამათუიმ კუთხეში შეპარული მტრის ნიღბის ჩამოხსნა. გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ, რომ შევძლოთ ორწლიანობის საბოლოოდ აღმოფხვრა, შეგნებული დისციპლინის განმტკიცება და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაფართოება.

## საკადრისი სასჯელი მიიღეს

თბილისის მე-30 საშუალო სკოლის მასწავლებელთა და თანამშრომელთა გაერთიანებულ კრებაზე, რომელზეც მოსმენილ იქნა მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ ტერორისტ - დივერსანტ - მავნებელთა საქმის გამო გამოტანილი განაჩენი, სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: სიხარულიძე, სუქანიძე, კობახიძე და სხვები, რომლებმაც კმაყოფილების გრძნობით აღნიშნეს, რომ მავნებლებმა მიიღეს საკადრისი სასჯელი.

— დაე იცოდნენ ხალხის მტრებმა, რომ საქართველოს მასწავლებლობა და მოსწავლე ახალგაზრდობა ერთსულოვნად არიან დარაზმულნი კომუნისტური პარტიისა და საუკეთესო სტალინელის ამხ. ლ. ბერიას გარშემო! — განაცხადა ამხ. გრ. სუქანიძემ.

— ჩვენ მოვითხოვთ, რათა საჯაროდ იქნან გასამართლებული კულტურული ფრონტის ნიღაბახდილი მავნებლები, კ. ორაგველიძე, შ. გეგენავა, ა. თათარიშვილი, კ. ქაცარავა, კ. ბერიძე, ნ. ბარამიძე და სხვები, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ ჩვენში სტალინური ეპოქის ბედნიერი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმე, მოითხოვდნენ სიტყვაში გამოსული ამხანაგები.

## ვალდებულებანი მავნებლურ დივერსიულ მუშაობის საპასუხოდ

გუშინ შესდგა, აგრეთვე თბილისის მე-10, 14, 16 და მთელ რიგ სხვა სკოლების მასწავლებელთა მიტინგები, რომლებზედაც ერთხმად იქნა მოწონებული სსრ უზენაეს სასამართლოს სპეციალურ გამსვლელ სესიის განაჩენი სიღნაღში გასამართლებულ მავნებელთა საქმეზე.

სიტყვაში გამოსულმა მასწავლებლებმა: მ. გაბუნიამ, ელ. ბეგიაშვილმა, კ. ჩიხლაძემ, ლ. სტურუამ, თ. ავალიშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას ამხ. ლ. ბერიასადმი მიცემულ პირობის გასანაღდებლად — კვალიფიკაციის ამაღლებისა და ბოლშევიზმის დაუფლებისათვის.

# განაჩენი

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით სსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა გამსვლელმა სესიამ

### სსსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიხეილ ისაკაძის თავმჯდომარეობით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრების ეფ. თათუზოვის და ს. დათუნაშვილის შემადგენლობით ნ. ავალიშვილის მდივნობით

სახელმწიფო ბრალმდებლის სსსრ პროკურორის ამხ. ვ. ტალახაძის, საზოგადოებრივი ბრალმდებლის ამხ. კოჭლამაზაშვილის და თბილისის დამცველთა კოლეგიის წევრების ამხ. თუთბერიძის, როგაძიძის, ღლონტის და ჩაჩანიძის მონაწილეობით, 1937 წლის 24—28 აგვისტოს ქალაქ სიღნაღში ღია სხდომაზე განიხილა საქმე ბრალდებისა გამო:

1. შალვა კონსტანტინეს-ძე ალავერდაშვილის, დაბადებული 1902 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1931 წლიდან, პასუხისგებაში ნამყოფი 117 მუხლით, საშუალო განათლებით, დაპატიმრებამდე სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარე.

2. არტემ დიმიტრის-ძე წითლიძის, დაბადებული 1903 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საშუალო განათლებით, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1919 წლიდან, პასუხისგებაში არ ყოფილა, დაპატიმრებამდე საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი.

3. კონსტანტინე ლევანის-ძე აბაშიძის, დაბადებული 1895 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საშუალო განათლებით, მეფის არმიის ყოფილი პორუჩიკი, უპარტიო, დაპატიმრებამდე ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

4. იოსებ გაბრიელის-ძე სტეფანოვის, დაბადებული 1902 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, წარმოშობით ვაჭართაგან, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი, დაპატიმრებამდე წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორი.

5. სიმონ ზაქარიას-ძე ყუფარაშვილის, დაბადებული 1887 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1918 წლიდან, დაპატიმრებამდე ნუკრიანის „ლენინის ანდერძის" კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

6. მათე გიორგის-ძე შათირიშვილის, დაბადებული 1890 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საშუალო განათლებით, აგრონომი - მევენახე, უპარტიო, ყოფილი უნტერ-ოფიცერი, დაპატიმრებამდე ხირსის საბჭოთა მეურნეობის უფროსი სპეციალისტი აგრონომი.

7. გიორგი ესტატეს-ძე მეტრეველის, დაბადებული 1896 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1921 წლიდან, პასუხისგებაში ნამყოფი ხელისუფლების გადამეტებისათვის, წარსულში ტროცკისტი, დაპატიმრებამდე საქობის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

8. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ჯავაშვილის, დაბადებული 1896 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1926 წლიდან, პასუხისგებაში ნამყოფი ხულიგნობისათვის, დაპატიმრებამდე სოფელ საქობოში „7 ნოემბრის" სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

9. ალექსანდრე გიორგის-ძე კობეშავიძის, დაბადებული 1909 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი კანდიდატი 1931 წლიდან, გარიცხული იყო 1935 წლიდან პარტდოკუმენტების დაუდევრად შენახვისათვის, დაპატიმრებამდე სიღნაღის დამცველთა კოლექტივის ხელმძღვანელი, წარსულში ტროცკისტი.

10. ფირუზა ალექსანდრეს-ძე ყაჯრიშვილის, დაბადებული 1905 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1932 წლიდან, წარსულში ტროცკისტი, დაპატიმრებამდე ბოდბისხევის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

11. ვასილ ალექსის-ძე მახოშვილის, დაბადებული 1894 წელს, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, საქ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1926 წლიდან, დაპატიმრებამდე სიღნაღის რაიონის სახალხო მოსამართლე.

დანაშაულზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებში.

წინასწარი და სასამართლოს ძიებით სასამართლო დადასტურებულად სთვლის, რომ ჯერ კიდევ 1931 წელს ბრალდებული შ. ალავერდაშვილი ჩაბმულ იქნა მავნებლურ ტერორისტულ - დივერსიულ მუშაობაში მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრის წევრის სევა კუხალეიშვილის მიერ და ატარებდა მავნებლურ მუშაობას სიღნაღის რაიონის შირაქის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ალავერდაშვილმა ამავე ორგანიზაციაში ჩააბა მეურნეობის სპეციალისტების ნაწილი. შემდეგში კი, 1936 წელს მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური მავნებლურ - დივერსიული ცენტრის წევრების გერმანე მგალობლიშვილის, შალვა მათიკაშვილის, სევა კუხალეიშვილის და პეტრე ალნიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით სიღნაღის რაიონში ჩამოყალიბდა კონტრრევოლუციური მავნებლური დივერსიულ - ტერორისტული ორგანიზაცია, რომელშიაც წევრებად შედიოდნენ ამ საქმეზე ბრალდებულები — სიღნაღის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე შალვა კონსტანტინეს-ძე ალავერდაშვილი, საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის ყოფილი მდივანი არტემ დიმიტრის-ძე წითლიძე, ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი კონსტანტინე ლევანის-ძე აბაშიძე, წნორისწყლის სამანქანო - სატრაქტორო სადგურის ყოფილი დირექტორი იოსებ გაბრიელის-ძე სტეფანოვი, სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" ყოფილი თავმჯდომარე სიმონ ზაქარიას-ძე ყუფარაშვილი, ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი უფროსი სპეციალისტი აგრონომი მათე გიორგის-ძე შათირიშვილი, საქობოს სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ესტატეს-ძე მეტრეველი, სოფელ საქობოს „7 ნოემბრის" სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ჯავაშვილი, სიღნაღის დამცველთა კოლექტივის ყოფილი ხელმძღვანელი ალექსანდრე გიორგის-ძე კობეშავიძე, ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე ფირუზა ალექსანდრეს-ძე ყაჯრიშვილი და სიღნაღის რაიონის ყოფილი სახალხო მოსამართლე ვასილ ალექსის-ძე მახოშვილი.

აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები, იყვნენ რა სხვადასხვა პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა დაწესებულებების პასუხსაგებ თანამდებობებზე, თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებდნენ კონტრრევოლუციური საქმიანობის შესასრულებლად და მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური მავნებლური დივერსიული ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობით და მითითებებით თავიანთ ძირითად ამოცანად ისახავდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული ხელისუფლების აღდგენას იმ მავნებლურ-დივერსიული და ტერორისტული საქმიანობის გზით, რაც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და სამხედრო ძლიერების ძირგამოთხრისაკენ, ე. ი. სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის დაჩქარებისაკენ, უცხოელ აგრესორთათვის ხელისშეწყობისაკენ და სსრ კავშირის დამარცხებისაკენ. ამ მიზნის განსახორციელებლად მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია სიღნაღის რაიონში ატარებდა შემდეგ მავნებლურ-დივერსიულ ტერორისტულ საქმიანობას:

კოლმეურნეობების დაშლისა და კოლმეურნეებს შორის უკმაყოფილების ხელოვნურად შექმნის საშუალებით განზრახ შეჰქონდათ არევდარევა შრომის ორგანიზაციაში, განზრახ არღვევდნენ და ამახინჯებდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, აბრკოლებდნენ კოლმეურნეობებში ჯგუფური და ინდივიდუალური სანარდო სისტემის გატარებას, განგებ აჭიანურებდნენ კოლმეურნეთა შორის ნატურალური და ფულადი შემოსავლის განაწილებას, მიწებს 18-20 სანტიმეტრის ნაცვლად მავნებლურად ხნავდნენ 12 სანტიმეტრის სიღრმეზე, არღვევდნენ სადირექტივო ორგანოების მიერ მოცემულ თესვის და მოსავლის აღების ვადებს. კოლმეურნეობათა უმეტეს ნაწილში მავნებლობის მიზნით 1935-1936 და 1937 წელს არ ჩაატარეს მოსავლის გამარგვლა და მინდვრის მავნებლებთან ბრძოლა, კოლმეურნეობაში შეჰყავდათ ყოფილი კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები, რათა შიგნიდან ეწარმოებინათ მავნებლური დამარღვეველი მუშაობა. ამ მიზნით კოლმეურნეობა „ლენინის გზით"-ში მათ შეიყვანეს 13 კულაკი.

მევენახეობის განვითარების ჩაშლის მიზნით აფუჭებდნენ ამერიკულ ლერწს, შლიდნენ მყნობის სამუშაოებს. კოლმეურნეობა „წითელ ანაგას", რომელსაც 8 მყნობელი ჰყავს, მისცეს დავალება დაემყნო 400.000 ცალი ლერწი, ვაქირის კოლმეურნეობა „შეერთებას" მისცეს დავალება გაეშენებინა ამერიკული ლერწის სადედეები, როცა მას ამის საშუალება არა აქვს. ამ ორ კოლმეურნეობას უნდა უზრუნველეყო მთელი რაიონის მოთხოვნილება ლერწზე. ეს მავნებლურად მიცემული დავალება მათ ვერ შეასრულეს, რის გამო ეს სამუშაოები ჩაიშალა და კოლმეურნეობებმა საგრძნობი ზარალი ნახეს.

საღორე ფერმებს აშენებდნენ იმ კოლმეურნეობებში, სადაც საკვები ბაზა არ იყო. ასეთ კოლმეურნეობებში 9 საღორე ფერმა ააგეს. მშენებლობაზე დაბანდებულ იქნა 400.000 მანეთი.

ცხვრის დაავადების და დახოცვის მიზნით, მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციურმა მავნებლურმა ორგანიზაციამ საქართველოს მიწსახკომის მავნებლების საშუალებით მიიღო და სიღნაღის რაიონში ჩაიყვანა სამოცი სული დაავადებული მეგრული თხა, რომლებიც უნდოდათ გაენაწილებინათ რაიონის კოლმეურნეობებს შორის, მაგრამ მავნებლებმა ვერ გაბედეს ამ მავნებლური ღონისძიების გატარება, ვინაიდან მოელოდათ აშკარა საფრთხე, რომ კოლმეურნეთა წინაშე გამოაშკარავდებოდა მათი ბნელი საქმეები.

კონტრრევოლუციონერ მავნებლების მუშაობამ მეურნეობის სხვადასხვა დარგში სიღნაღის რაიონში გამოიწვია კოლმეურნეობათა შემოსავლის საგრძნობი შემცირება. ამ მავნებლურ ღონისძიებებს მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელების ა. წითლიძის, შ. ალავერდაშვილის და ი. სტეფანოვის დავალებით ატარებდნენ ამავე ორგანიზაციის წევრები, კოლმეურნეობათა ყოფილი თავმჯდომარეები, ბრალდებულები: ნიკოლოზ ჯავაშვილი, ფირუზა ყაჯრიშვილი და სიმონ ყუფარაშვილი.

საბჭოთა მეურნეობებში ატარებდნენ შემდეგ მავნებლობას: 1931 წელს შირაქის მარცვლეულ-მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად ყოფნის დროს შ. ალავერდაშვილმა მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრის წევრის კუხალეიშვილისაგან ცხვრის განადგურების მიზნით მიიღო 13.000 სული დაავადებული ცხვარი, როგორც პროდუქტიული, რომლის 85 პროცენტი დაიხოცა. ამ საბჭოთა მეურნეობაში ბრალდებული ალავერდაშვილი მავნებლურად აწარმოებდა მსხვილ კაპიტალურ დაბანდებებს ისეთ სამუშაოებზე, რაც მეურნეობას არ ესაჭიროებოდა. 1933 წელს მეღორეობის ფერმისათვის ააშენეს კაპიტალური შენობა, რაზედაც მავნებლურად, ნაცვლად 100.000 მანეთისა, დახარჯეს 400.000 მანეთი. განზრახ აჭიანურებდნენ თესვის და მოსავლის აღების ვადებს, მიწას ხნავდნენ ნაკლებ სიღრმეზე — 10-12 სანტიმეტრზე. მავნებლურად გამოყენებით ამტვრევდნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღმანქანებს: კომბაინებს, ტრაქტორებს და ავტომანქანებს, აჭიანურებდნენ მათ რემონტს და მავნებლური შეკეთებით უმეტეს შემთხვევაში ისინი სრულიად გამოჰყავდათ მწყობრიდან. შლიდნენ თესლთაბრუნვას იმ მიზნით, რომ გამოეფიტნათ მიწა და უახლოეს წლებში მოსავლიანობა შეემცირებინათ ჰექტარზე 5 ცენტნერის რაოდენობამდე. მავნებლური მუშაობის შედეგად მიაღწიეს იმას, რომ საბჭოთა მეურნეობამ მიიღო დაბალი მოსავალი— ჰექტარზე 10 ცენტნერი, ნაცვლად 18 ცენტნერისა. ასეთსავე მავნებლობას ატარებდა შ. ალავერდაშვილი.

ალაზნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად ყოფნის დროს ორივე საბჭოთა მეურნეობაში მავნებლები ადგენდნენ არარეალურ გეგმებს, მუშებს შორის უკმაყოფილების ხელოვნურად შექმნის მიზნით მათ თვეობით არ აძლევდნენ ხელფასს. მარტო 1935 წლის იანვრისათვის შირაქის საბჭოთა მეურნეობაში გაუცემელი იყო ხელფასი 800 ათას მანეთამდე, ხელფასის ფონდს კი იყენებდნენ არადანიშნულებისამებრ. აღნიშნული საბჭოთა მეურნეობების მომსახურებისათვის შირაქის წყალსადენის მოსაწყობად გათვალისწინებული იყო ნახევარი მილიონი მანეთის დახარჯვა. შ. ალავერდაშვილმა და ა. წითლიძემ კი საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მავნებელ სპეციალისტთა დახმარებით შეადგინეს მავნებლური გეგმა, რის შედეგადაც მის გაყვანაზე დაიხარჯა 2 მილიონი 500 ათასი მანეთი. ა. წითლიძე და შ. ალავერდაშვილი მავნებლურად აჭიანურებდნენ მნიშვნელოვან სამუშაოებს. წნორი-წითელწყაროს გზატკეცილის და წნორის სასტუმროს მშენებლობა განზრახ გააჭიანურეს სამი წლით, ხოლო სიღნაღის ელექტრო-სადგურისათვის, ელექტროსინათლის შემცირების მიზნით, 148-ძალიანი ელექტროდიზელი შეიძინეს, დინამო კი 50—ვოლტიანია.

სიღნაღის რაიაღმასკომის კომბინატის მეცხვარეობის ფერმისათვის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით აშენებულ იქნა ცხვრის სამი სადგომი ბინა, რაზედაც, მუშაობის მავნებლურად გატარების შედეგად, 30.000 მანეთის ნაცვლად 300.000 მანეთი დახარჯეს.

ბრალდებულმა ს. შათირიშვილმა ჯერ კიდევ 1932 წელს, ყვარლის საბჭოთა მეურნეობის აგრონომად ყოფნის დროს, კონტრრევოლუციონერ კუხალეიშვილის დავალებით 208 ჰექტარზე დაავადებული ვაზის ნერგით გააშენა ვენახი, რომელიც, როგორც ავადმყოფი, გაფუჭდა და ვენახი ვარგისი დარჩა მხოლოდ 70 ჰექტარზე.

ხირსის საბჭოთა მეურნეობაში მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრის წევრის კუხალეიშვილის და მემარჯვენეთა სიღნაღის ორგანიზაციის დავალებით ბრალდებულმა შათირიშვილმა ჩაატარა შემდეგი მავნებლური მუშაობა: 80 ჰექტარზე გააშენა შერეული ჯიშების ვაზი, რათა ხელი შეეშალა ერთი ხარისხის ღვინის მიღებისათვის და გაართიანა ყურძნის კრეფა. 1933 წელს წყალსადენი გაიყვანეს იქ, სადაც წყალი სრულიად არ იყო, რაზედაც დაიხარჯა 60 ათასი მანეთი და წყალსადენისთვის ჩაალაგეს რკინის მილები. 1934 წელს გადააბრუნეს სავენახე 97 ჰექტარი, რაზედაც დაიხარჯა 58.000 მანეთი. შემდეგ კი იგი გამოუყენებლად მიატოვეს. 1936 წელს გაშენებულ იქნა 5.000 დაავადებული ვაზი. ამ საბჭოთა მეურნეობის სათბურებიდან მავნებლური მიზნით კოლმეურნეობებს მისცეს დაუხარისხებელი 60.000 ცალი ნამყენი, რომლიდანაც გამოდგა მხოლოდ 32 პროცენტი. ამავე წელს ბრალდებულმა შათირიშვილმა ქუმბათის საბჭოთა მეურნეობას მისცა 50.000 ცალი დაავადებული ამერიკული საძირე ვაზი, რათა ეს მეურნეობა მთლიანად დაევადებინა. ა.-წ. მაისსა და აპრილში ხშირი წვიმების დროს არ შეწამლა გოგირდით საბჭოთა მეურნეობის ოთხმოცი ჰექტარი ვენახი, ეს ვაზი დაავადდა „მილდიუმით" და „ოიდიუმით", რამაც მოსავლიანობა 50 პროცენტით შეამცირა. ასევე მოქმედებდა წნორის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ყოფილი დირექტორი სტეფანოვი, მემარჯვენეთა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრის წევრის შ. მათიკაშვილის და მემარჯვენეთა სიღნაღის ორგანიზაციის დავალებით. მას მიცემული ჰქონდა დავალება მთლიანად ჩაეშალა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობა, კოლმეურნეობების საშეურნეო ძლიერების დაცემის მიზნით.

სტეფანოვი და მისი განკარგულებით სამ.-სატრაქტორო სადგურის მავნებელი აგრონომები ატარებდნენ მიწის ზერელე ხვნას 12 სანტიმეტრის სიღრმეზე. შლიდნენ მანქანა-იარაღების რემონტს, მავნებლური მიზნით ამტვრევდნენ კომბაინებს და ტრაქტორებს, ცალკეულ პატარ-პატარა ნაკვეთებზე იყენებდნენ დიდძალიან „ჩტზ" ტრაქტორებს, რომლებსაც ტალახში ამუშავებდნენ, აწყობდნენ გადარბენებს, რათა ტრაქტორები მომცდარიყო და ამავე დროს დიდი რაოდენობით დაეწვათ საწვავი მასალა. არევდარევა შეჰქონდათ შრომის ორგანიზაციაში და ტრაქტორისტთა და კომბაინერთათვის ხელფასის მიუცემლობით აიძულებდნენ მათ წასულიყვნენ სამანქ.-სატრაქტორო სადგურიდან, არ ამარაგებდნენ მანქანა-იარაღების სათანადო ნაწილებით. ყველა ამ საშუალებით მათ ჩაშალეს 1936 და 1937 წლის მანქანა-იარაღების რემონტი.

საქობოს სასოფლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გ. მეტრეველი მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელების ა. წითლიძის და შ. ალავერდაშვილის დავალებით აწარმოებდა მავნებლურ მუშაობას საგადასახადო პოლიტიკის დარგში. ადმინისტრატიული წესით უდიდებდა მშრომელ ერთპიროვნულ და კოლმეურნე გლეხებს გადასახადებს 100-200 პროცენტით, გადასახადებში მათ უყიდდა სხვადასხვა საოჯახო ნივთებს, ადმინისტრატიული წესით ავრცელებდა სესხებს. მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით მან ჩაშალა სტალინური კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების დამუშავება. ყოველივე ამას ბრალდებული მეტრეველი ატარებდა იმ მიზნით, რომ მოსახლეობაში ხელოვნურად შეექმნა უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

(დასასრული იხ. მე-8 გვ.)

# განაჩენი

## დასასრული

მოსახლეობაში საბჭოთა მართლმსაჯულების, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების ხელოვნურად შექმნის მიზნით მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებას ატარებდნენ სიღნაღის ყოფილი რაიმოსამართლე ვ. მახოშვილი და დამცველთა კოლექტივის ხელმძღვანელი ა. კობეშავიძე. პირველს გამოჰქონდა აშკარა უკანონო განაჩენები და გადაწყვეტილებები, უსჯიდა პატიმრობას სრულიად უდანაშაულო პირებს, პირიქით, დამნაშავე პირებს ათავისუფლებდა ყოველგვარი სასჯელისაგან, ამახინჯებდა საბჭოთა კანონებს შრომის, სამოქალაქო და საოჯახო ურთიერთობის დარგში, მოსულ პირებს ეპყრობოდა უხეშად და აძლევდა კონტრრევოლუციურ განმარტებებს, უსაფუძვლოდ გადადებით აჭიანურებდა საქმეებს თვეობით და ამით იწვევდა უკმაყოფილებას მშრომელ მოსახლეობაში. ა. კობეშავიძე იურიდიულ რჩევა-განმარტებებს და პროცესებზე დამცველად გამოსვლის დროს დაცვის სიტყვას იყენებდა კონტრრევოლუციური აგიტაციისათვის და ვ. მახოშვილთან ერთად ჰქმნიდა ყოველგვარ საშუალებებს საქმეთა უკანონოდ გადაწყვეტისა და გაჭიანურებისათვის.

მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიურ წევრს კ. აბაშიძეს 1936 წელს საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ, ხალხის მტერმა ალნიაშვილმა მისცა დავალება, რათა მოეწყო ტერორისტული აქტი საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. ლ. პ. ბერიას მიმართ. ამ აქტის შესრულება პირადად მას დაევალა. ხალხის მტრის ალნიაშვილის დავალებით მან მოაწყო მეამბოხეთა რამდენიმე შეიარაღებული ჯგუფი, რომლებშიაც შედიოდნენ განკულაკებული მეცხვარეები და სხვადასხვა ანტისაბჭოთა ელემენტები.

კონტრრევოლუციური ჯგუფების შესაიარაღებლად მან გამოიყენა თავისი თანამდებობა, როგორც საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, რომელსაც მეურნეობაში ჰქონდა სათანადო იარაღი. ამრიგად, სიღნაღის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას, რომელიც ატარებდა მავნებლურ-დივერსიულ მუშაობას, ამავე დროს ჰყავდა მეამბოხეთა შეიარაღებული ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ამავე ორგანიზაციის აქტიური წევრი, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი კ. აბაშიძე. თვითეული ბრალდებულის მიმართ საქ. უზენაესი სასამართლოს სპეციალური შემადგენლობა დადასტურებულად სთვლის შემდეგს:

1. ალავერდაშვილს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული ოგანიზაციის წევრი 1931 წლიდან, ანხორციელებდა მავნებლობას შირაქის და ალაზნის საბჭოთა მეურნეობებში, რის შედეგადაც 13.000 სული ცხვარიდან დაიღუპა 85 პროც. 1935 წლიდან, სიღნაღის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ, ალავერდაშვილი არის ამ რაიონის მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი და სიღნაღის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ა. წითლიძესთან ერთად. მან გაშალა მუშაობა ამ ორგანიზაციაში სხვადასხვა პირთა ჩასაბმელად იმ მიზნით, რომ განეხორციელებინათ მავნებლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ალავერდაშვილის მითითებით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია ატარებდა მავნებლობას მეცხოველეობაში, მტს-ში, შირაქის წყალსადენის მშენებლობის საქმეში და ამავე დროს აწარმოებდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, რომლის მიზანიც იყო პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებების მიმართ მშრომელთა უკმაყოფილების ხელოვნურად შექმნა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

2. წითლიძეს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი, შეჰქმნა და სათავეში ჩაუდგა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ტერორისტულ დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზაციას, რომელიც ატარებდა ძირგამომთხრელ მუშაობას კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და სხვადასხვა მშენებლობაზე, ამზადებდა დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, სახელს უტეხდა სიღნაღის რაიონის მშრომელთა თვალში საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2. 58-8. 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

3. აბაშიძეს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა მეამბოხეთა კონტრრევოლუციური სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ატარებდა ელდარის საბჭოთა მეურნეობის მწყემსებისა და მეცხვარეების ჩაბმას მეამბოხეთა კონტრრევოლუციურ რაზმებში, რომელნიც კაპიტალისტური ქვეყნების მხრივ სსრ კავშირთან ომის დაწყების მომენტში გამოყენებული უნდა ყოფილიყვნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და აგრეთვე პეტრე ალნიაშვილისგან წინადადება ჰქონდა მიცემული ჩაედინა ტერორისტული აქტი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ლ. ბერიას მიმართ. ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2. 58-8. 58-9 და 58-11 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში.

4. სტეფანოვს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა 1934 წლიდან სიღნაღის რაიონის კონტრრევოლუციური ტერორისტული მავნებლური ორგანიზაციის წევრი, აბამდა წევრებს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში და ა. წითლიძის და შ. ალავერდაშვილის დავალებით ატარებდა მავნებლობას, მიმართულს სასოფლო-სამეურნეო კამპანიების ჩაშლისაკენ და კოლმეურნეობათა ეკონომიური მდგომარეობის ძირის გამოთხრისაკენ, ანხორციელებდა მავნებლობას აგრეთვე ტრაქტორების რემონტის და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების საქმეში, განზრახ ანხორციელებდა საფინანსო აღრიცხვის არევდარევას, რათა შეექმნა უკმაყოფილება ტრაქტორისტთა შორის და მავნებლურად აშენებდა მეცხოველეობის ბინებს, ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებში გათვალისწინებულ დანაშაულში.

5. ყუფარაშვილს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაციის წევრი 1936 წლიდან, ა. წითლიძის და შ. ალავერდაშვილის დავალებით ატარებდა ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში", განზრახ აჭიანურებდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, მხარს უჭერდა და აქეზებდა კულაკურ ელემენტებს, ჰქმნიდა უკმაყოფილებას კოლმეურნეთა შორის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

6. შათირიშვილს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული მავნებლური ორგანიზაციის წევრი 1933 წლიდან. ატარებდა მავნებლობას ხირსის საბჭოთა მეურნეობაში, მავნებლურად აშენებდა ვენახებს და აგებდა წყალსადენს, განზრახ ატარებდა დაავადებული ლერწის დარგვას, აჯვიანებდა ვენახების წამლობას და მავნებლურად ატარებდა მშენებლობას, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

7. მეტრეველს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა წარსულში კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი, 1935 წელს შევიდა მემარჯვენე ტერორისტულ სიღნაღის კონტრრევოლუციურ მავნებლურ ორგანიზაციაში და ა. წითლიძის და შ. ალავერდაშვილის დავალებით ატარებდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში წევრების ჩაბმას სოფლად. იყენებდა რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, როგორც სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ხელოვნურად ჰქმნიდა სოფლის მოსახლეობის უკმაყოფილებას პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა მიმართ. იწევდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

8. ჯავაშვილს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული მავნებლური ორგანიზაციის წევრი, ანხორციელებდა ძირგამომთხრელ მუშაობას „7 ნოემბრის" სახელობის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მავნებლურად ჩატარებისა და საფინანსო აღრიცხვის არევდარევის მიზნით, რითაც კოლმეურნეობა დაშლამდე მიიყვანა, ე. ი. საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9. 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

9. კობეშავიძეს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა ყოფილი ტროცკისტი და ამჟამად მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი. ალავერდაშვილის დავალებით ატარებდა მავნებლობას. რომელიც წინასწარ განზრახვით მიმართული იყო სასამართლოს დაცვის ორგანოების ნორმალური მუშაობის შეფერხებისაკენ. აძლევდა არასწორ განმარტებას სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საბჭოთა მართლმსაჯულების დისკრედიტაციის მიზნით, ამახინჯებდა თავისი, როგორც დამცველთა კოლეგიის წევრის, მუშაობის მეთოდებს, უგულებელჰყოფდა კოლმეურნეთა თხოვნას, ავრცელებდა გლეხთა მოსახლეობაში ღვარძლსა და უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

10. ყაჯრიშვილს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი 1936 წლიდან, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრის სტეფანოვის დავალებით ატარებდა ძირგამომთხრელ მუშაობას ბოდბისხევის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თესვის სამუშაოთა ჩაშლისა და შრომადღეების ნორმების ხელოვნურად შემცირების გზით, აბუჩად იგდებდა კოლმეურნეებს, რითაც ჰქმნიდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აგრეთვე ჩაშალა სარაიონო მნიშვნელობის გზატკეცილების მშენებლობა, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

11. მახოშვილს ბრალი ედება იმაში, რომ, იყო რა მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული მავნებლური ორგანიზაციის წევრი 1936 წლიდან, ა. წითლიძის და შ. ალავერდაშვილის დავალებით წინასწარი განზრახვით აჭიანურებდა საქმეების გარჩევას სახალხო სასამართლოში, გამოჰქონდა არასწორი გადაწყვეტილებანი, რათა შეექმნა უკმაყოფილება მშრომელ მოსახლეობაში, არღვევდა რევოლუციურ კანონიერებას, აძლევდა კოლმეურნე გლეხებს არასწორ განმარტებას იურიდიული დახმარების ხაზით, მიზნად ისახავდა რა იმას, რომ გამოეწვია მათში აღშფოთება მართლმსაჯულების წინააღმდეგ, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო უზენაესი სასამართლოს სპეციალური შემადგენლობის სესია სთვლის, რომ ზემოჩამოთვლილი ბოროტება და დანაშაული ბრალდებულების: 1. შ. ა. ალავერდაშვილის, 2. ა. დ. წითლიძის, 3. კ. ლ. აბაშიძის, 4. ი. ვ. სტეფანოვის, 5. გ. ე. მეტრეველის, 6. ვ. ა. მახოშვილის და 7. ა. გ. კობეშავიძისა. მიმართული იყო საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, რისთვისაც მათ აცხადებს ხალხის მტრებად და, იხელმძღვანელა რა სს საპრ. კოდექსის 319 და 320 მუხლებით და თანახმად საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით, **საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური შემადგენლობის სესიამ მიუსაჯა:**

1. შალვა კონსტანტინეს-ძე **ალავერდაშვილს,**
2. არტემ დიმიტრის-ძე **წითლიძეს,**
3. კონსტანტინე ლევანის-ძე **აბაშიძეს,**
4. იოსებ გაბრიელის-ძე **სტეფანოვს,**
5. გიორგი ესტატეს-ძე **მეტრეველს,**
6. ალექსანდრე გიორგის-ძე **კობეშავიძეს** და
7. ვასილ ალექსის-ძე **მახოშვილს** სასჯელის უმაღლესი ზომა — **დახვრეტა,** ყველას მიმართ მთელი პირადი ქონების კონფისკაციით.

ბრალდებულებს: მათე გიორგის-ძე **შათირიშვილს** მიესაჯოს ციხეში მოთავსება ათი წლით, ჩაეთვალოს წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო ა-წ. 8 ივნისიდან.

სიმონ ზაქარიას-ძე **ყუფარაშვილს** მიესაჯოს ციხეში მოთავსება ათი წლით, ჩაეთვალოს წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო ა-წ. 6 აგვისტოდან.

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ჯავაშვილს** მიესაჯოს ციხეში მოთავსება რვა წლით, ჩაეთვალოს წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო ა-წ. 30 ივლისიდან.

და ფირუზა ალექსანდრეს-ძე **ყაჯრიშვილს** მიესაჯოს ციხეში მოთავსება რვა წლით, ჩაეთვალოს წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო ა-წ. 15 აგვისტოდან.

თანახმად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლის ა პუნქტისა, ჩამოერთვას ბრალდებულებს მათე შათირიშვილს, სიმონ ყუფარაშვილს, ნიკოლოზ ჯავაშვილს და ფირუზა ყაჯრიშვილს სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთ-ხუთი წლით საარჩევნო ხმის უფლება.

განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება და სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი თანახმად საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1934 წლის 1 დეკემბრის კანონისა დაუყოვნებლივ.

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალური შემადგენლობის თავმჯდომარე,**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. ისაკაძე.**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრები:**

**ე. თათუზოვი.**

**ხ. დათუნაშვილი.**

# ღირსეული სასჯელი ხალხის საზიზღარ მტრებს

## თბილისის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენს

### ასე გავსრესავთ ყველა მავნებელ დივერსანტებს

ფუშის სამუშაოს დამთავრების შემდეგ. თბილისის ტრამვაის ტრესტის ამწყობ საამქროში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელსაც 1.000-მდე კაცი და ქალი დაესწრო.

ძლევამოსილი სოციალისტური ქვეყნის მოღალატეების, ფაშიზმის პირსისხლიან ქოფაკების მიმართ, საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამართლიან განაჩენს თბილისის ტრამვაის მეურნეობის 2.500 მუშათა კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

— მემარჯვენე კონტრრევოლუციონერები, მკვლელები, დივერსანტები გაისრისნენ. ასევე გაისრისება ყველა მტერი, რომელიც გაბედავს თავისი ბინძური ხელი შეახოს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს და მისი ბედნიერი ხალხის უდიდეს მიღწევებს. ჩვენ საკუთარი მკერდით დავიცავთ დიადი ოქტომბრის რევოლუციის უძვირფასეს მონაპოვარს, — ამბობენ სტახანოველი მუშები — ამხ. მესტვირიშვილი, ს. ლიჩელი, მოდებაძე და სხვები.

ჩვენ მოვითხოვთ ნილაბახდილ ხალხის მტრის, თბილისის ტრამვაის ტრესტის ყოფილ დირექტორის ბ. რაზმაძის მავნებლური საქმეების დაჩქარებით გარჩევას და მასზე ღირსეული სასჯელის დადებას.

ჩვენ უფრო გავაძლიერებთ რევოლუციურ შეტევითი სიფხიზლეს, უფრო მჭიდროდ დავირაზმებით ჩვენ, სახელოვანი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო — ასეთია თბილისის ტრამვაელთა ერთსულოვანი გამოძახილი.

### ძაღლებს ძაღლური სიკვდილი

სპილენძის სატკეცი ქარხნის მუშების მრავალრიცხოვანმა მიტინგმა დიდი კმაყოფილებით მოისმინა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განაჩენი ხალხის მოღალატეების, მემარჯვენე კონტრრევოლუციონერ-დივერსანტ-ჯაშუშთა საქმის შესახებ. ამხ. ბარბაქაძე, ახობაძე, წიკლაური, სუსნიკოვი, არეშოვი და სხვები ზიზღით იხსენიებდნენ ლენინ-სტალინის დიად საქმის მოღალატეებს და მოითხოვდნენ მგალობლიშვილის, მათიკაშვილის, კუხილეიშვილის, ალნიაშვილის და სხვა საზიზღარ ჯაშუშთა და დივერსანტთა დახვრეტას.

### ყველა მტერი მოიმკის თავის ღირსეულ დინგს

თბილისის კუიბიშევის სახელობის ხ.ს დამამუშავებელ მექანიკურ ქარხნის მუშები დიდი მოწონებით შეხვდნენ საქ. უზენაეს სასამართლოს განაჩენს, რომელიც გამოტანილი იქნა ხალხის უბოროტესი და საზიზღარი მტრების, მემარჯვენე კონტრრევოლუციურ-დივერსანტების — ა. წითლიძის, შ. ალავერდაშვილის, მეტრეველის და სხვათა მიმართ.

— ჩვენი დიადი სამშობლო უძლეველია. ყველა მტერი მოიმკის თავის ღირსეულ დინგს — აღნიშნულია ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში.

# სწავლის დაწყებისათვის მომზადებული არ არიან

**თელავი**, 27 აგვისტო (საქდესი). რაიონში მთელი რიგი სკოლები მოუმზადებელი ხვდებიან ახალ სასწავლო წელს. განათლების განყოფილების ყოფილი გამგის, ხალხის მტრის—ქ. გეგელიძის მავნებლური მუშაობის შედეგად მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში ჩაშლილია ახალი სასწავლო წლისათვის მზადება.

ფშაველის, ნაფარეულის, მაღრაანის, ქვ. ალვანის, და ჯოყოლოს სოფ. საბჭოებში სკოლების შეკეთება ჯერაც არ დაუწყიათ. დღემდე ნაფარეულის არასრული საშუალო სკოლის საკლასო ოთახები შეუკეთებელია. იატაკის ფიცრები აყრილია, ფანჯრების მინები ჩამტვრეულია, მერხები შეუკეთებელია და სკოლას აკლია 60 მერხი.

სოფ. ლაფანყურის დაწყებითი სკოლის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე, მაგრამ იგი არ არის მზად. სკოლის ძველი შენობა შეუკეთებელია და იქ სწავლის დაწყება შეუძლებელია.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია სოფ. სანიორისა და ართანის დაწყებითი სკოლები (გამგეები: ნ. გიორგობიანი და მ. საჭუაშვილი). აქ სკოლის შენობები შეუკეთებელია და საკლასო ოთახები ბეღლებად არის გამოყენებული. საბჭოს თავმჯდომარე ალ. ექვაშურია არ ზრუნავს სკოლის შენობების შეკეთებისათვის და მეორეხარისხოვან საქმედ სთვლის მას.

სოფ. მაღრაანის დაწყებითი სკოლის რემონტს ჯერ არ შესდგომიან. სკოლის აივანი ჩამონგრეულია. საკლასო ოთახები შეუკეთებელია, ფანჯრების მინები ჩამტვრეულია და სკოლას არ აქვს საკმაო რაოდენობის მერხები.

ასეთსავე მდგომარეობაშია ბაბანეურის და ფიჩხოვანის საბჭოში შემავალი სკოლები (საბჭოს თავმჯდომარე გაგიევი.)

აგრეთვე რაიონში არც ერთ სკოლას არ აქვს მომარაგებული ზამთრისათვის შეშა და სხვ.

ყველა ამ მდგომარეობის შედეგად თელავის რაიონის სკოლებში პირველ სექტემბრიდან სწავლის დაწყება საფრთხეშია.

# სკოლა ზარის დარეკას ელოდება

ძეგვის (თბილისის რ.) სკოლის ხელმძღვანელობამ დროულად დაიწყო სამზადისი ახალი სასწავლო წლისათვის. სკოლის შენობას რემონტი გაუკეთდა — შეიღება საკლასო ოთახები, გაკეთდა ახალი აივანი. სკოლის ეზო ლამაზად შემოღობილი იქნა, ადგილზე დაამზადეს 30 ცალი ახალი პარტა, 5 დაფა, 9 მაგიდა, შეძენილია 10 ვენური სკამი, შეკეთებული იქნა ძველი პარტები, მაგიდები, შკაფები და სხვ.

1-ლ კლასში უკვე მიღებულია 50 მოსწავლე და მიმდინარეობს ბავშვების დამატებითი მიღება, სულ პირველ კლასში მიღებული უნდა იქნეს 70 ბავშვი.

ნაკლი ის არის, რომ სკოლას დღემდე არა აქვს შეშა მომარაგებული, რაშიც ბრალი სას. საბჭოს მიუძღვის.

ძეგვის არასრული საშუალო სკოლა განახლებული და მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს.

**ი. ბ.**

# სკოლების მშენებლობის ჩაშლისათვის — პასუხისგებაში

**ფოთი**, 25 აგვისტო (საქდესი). სკოლების მშენებლობის მიმდინარეობა ვერ უზრუნველჰყოფს მათ თავის დროზე გადაცემას საექსპლოატაციოდ. სახალხო განათლების საქალაქო განყოფილებას და კომუნალურ განყოფილებას არ მიუღიათ საჭირო ღონისძიებანი მშენებლობის დასაჩქარებლად, რის შედეგადაც სკოლების მზადყოფნა არ აღემატება 70—80 პროცენტს. მხოლოდ ახლა ასტეხეს განგაში, დაიწყო „საავრალო" მუშაობა, რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მშენებლობათა ხარისხზე.

ინჟინერი კეშელავა, რომელიც სკოლების მშენებლობას განაგებდა, თვალის ახვევას ეწეოდა. მან ყველა დაარწმუნა, რომ სკოლების მზადყოფნის პროცენტი 1 აგვისტოსათვის უდრიდა 73,6-ს, იმ დროს, როდესაც 15 აგვისტოსათვის ფაქტიურად უდრიდა მხოლოდ 72-ს. საქალაქო სახალხო განათლების განყოფილების გამგემ გეთიამ ეს გაბერილი ციფრი შეუმოწმებლად აცნობა ადგილობრივ და რესპუბლიკურ ორგანიზაციებს.



შეჯიბრება ცურვაში

სურათზე: თბილისის ფიზკულტურის პარკის წყლის აუზში ბათუმისა და ფოთის მოსწავლე ახალგაზრდობისაგან შემდგარი გუნდების თამაშის ერთერთი მომენტი.

# საქართველოს მოზარდმა მცურავებმა დაამყარეს 35 სრულიად-საქართველოსი და 2 სრულიად-საკავშირო რეკორდი

24, 25, და 26 აგვისტოს თბილისის წყლის აუზში გაიმართა ბავშვთა სრულიად-საქართველოს შეჯიბრება ცურვაში.

სამი დღის განმავლობაში სოხუმიდან, ბათომიდან და ფოთიდან ჩამოსული 80-ზე მეტი ბავშვი ეჯიბრებოდა ერთმანეთს სხვადასხვა მანძილზე ცურვაში. წყალში ხტომასა და წყლის პოლოში.

შეჯიბრების შედეგად დამყარებულია 35 სრულიად-საქართველოს რეკორდი. მათ შორის ორი რეკორდი აღემატება სრულიად-საკავშირო მიღწევებს. ეს რეკორდები დაამყარა უფროსი ჯასაკის მცურავმა ლიუტოსტანსკიმ (სოხუმი) „ბვერდულის" სტილის ცურვაში 300 მეტრის მანძილზე (5 წუთი და 07 წამი) და „ბვერდულის" ცურვაში 100 მეტრის მანძილზე. (1 წუთი და 25,3 წამი).

საგუნდო პირველობა მოიპოვა სოხუმის კოლექტივმა, რომელმაც დააგროვა 297,5 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა ბათომის გუნდმა (17[illegible]5 ქულა), მესამე ადგილი თბილისის გუნდმა (157 ქულა) და მეოთხე ადგილი—ფოთის გუნდმა (116 ქულა).

# დროულად გამოვავლინოთ დ. ნიკოლაიშვილისებური არამზადები

ხალხის საზიზღარი მტრები, სისხლიანი ფაშიზმის დაქირავებული აგენტები, კონტრრევოლუციური ტროცკიზმ-მენშევიზმის ცოფიანი ნაგაზები პირზე დორბლმორეულნი დაძვრებოდნენ მასწავლებელთა შორისაც. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ, ჩაეთრიათ მავნებლურ მუშაობაში პედაგოგიური ფრონტის მუშაკნი, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს: საქართველოს მასწავლებლობას მარჯვედ უჭირავს ხელში კომუნისტური განათლების დროშა და მედგრად იბრძვის სტალინური ეპოქის ბედნიერი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

მაგრამ, აღშფოთების გრძნობით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა შორისაც აღმოჩნდნენ თითო - ოროლა გადაგვარებულნი, რომლებიც ეწეოდნენ მავნებლურ მუშაობას. ეს არამზადები მეტად მოხერხებულად ინიღბებოდნენ: გაკვეთილებს არასოდეს არ აცდენდნენ, იჩენდნენ აქტიობას, კრებებზე გამოდიოდნენ „ლამაზი" და „მომხიბვლელი" სიტყვებით, მუდამ „ოქროპირობდნენ" სწავლა-აღზრდისა და საერთოდ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ, სინამდვილეში კი თვალთმაქცობდნენ, დაგეშილ ფინიებივით აქეთ-იქით დაწანწალებდნენ და შეჰქონდათ არევდარევა სასწავლო საქმეში.

ასეთი არამზადების რიცხვს ეკუთვნის წიაღოუბნის (სამტრედიის რ.) არასრული საშუალო სკოლის რუსული და ქართული ენების ყოფილი მასწავლებელი ვინმე დიომიდე ნიკოლაიშვილი, რომელიც მეტად მოხერხებულად იყო შენიღბული.

ის 1924 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მენშევიკების სისხლიან ავანტურაში, ითვლებოდა სოფლად ფაშიზმის აგენტად, სტყუებდა მოსწავლეებს ფულებს, ვაჭრობდა ნიშნებით და სხვ. რითაც იწვევდა მოსახლეობაში უსაზღვრო უკმაყოფილებას. ეს არამზადა „ყოველ შემთხვევისათვის" ძალზე შეიარაღებული იყო „დამახასიათებელი" მოწმობებით, რომლითაც ასე უხვად აღჭურვეს ის ადგილობრივმა (სასოფლო) ორგანიზაციებმა. ამ „საბუთებში" საზიზღარი მენშევიზმის ეს ნაბოლარა დახასიათებული იყო, როგორც „საუკეთესო" მასწავლებელი, სოფლის აქტივის „ენერგიული" წევრი და ყოველგვარი საზოგადოებრივ სამუშაოს „პირნათლად" შემსრულებელი. სწორედ ასეთი „საბუთების" წყალობით მიმდინარე წლის თებერვალში სამტრედიის რაიონის განათლების განყოფილების მიერ ვითომდა უდანაშაულოდ მოხსნილი ნიკოლაიშვილი აღდგენილი იქნა. სამწუხაროდ, უკანონოდ აღდგენილმა და იმავე „საბუთების" გამო ჩვენი გაზეთის ფურცელზეც კი ჰპოვა დაცვა ამჟამად ნიღბახსნილ, ხალხის მტერმა, მავნებელმა ნიკოლაიშვილმა.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს, განათლების ორგანოებსა და სკოლის თითოეულ მუშაკს, გამოიჩინონ მეტი პოლიტიკური სიფხიზლე და გამბედაობა, გააძლიერონ ბრძოლა ბოლშევიზმის დაუფლებისათვის, რომ უკეთ და დროულად შევძლოთ დ. ნიკოლაიშვილისებურ ქვეწარმავალთა გამოვლინება.

**გ. მა—ნი**

# დამთავრდა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები

თბილისის უნივერსიტეტში დამთავრდა მისაღები გამოცდები. მიმდინარე წელს კონკურსი გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე 1936 წელს, მაშინ შემოტანილი იყო 1900 განცხადება, ახლა კი—2,300 განცხადება.

გამოცდა ჩააბარა 1.045 კაცმა. უგამოცდოდ მიღებულია 193 ფრიადოსანი, აქედან 113 კაცი მიღებულია. ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე, სადაც მათ შეავსეს ქართული სექტორის ყველა 100 ვაკანსია და რუსული სექტორის 13 ვაკანსია. 42 ფრიადოსანი მიღებულია ფილოლოგიური ფაკულტეტის ქართულსა და რუსულ სექტორებზე.

დიდძალი ახალგაზრდობა მიაწყდა ფილოლოგიურ ფაკულტეტს — 166 კაცი (ქართული და რუსული სექტორები), 135 კაცი შევიდა ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე (ორი სექტორი), 113 კაცი—ეკონომიურ ფაკულტეტზე (ორი სექტორი), ას-ასი კაცი გეოგრაფიულ-გეოლოგიურ და ისტორიულ ფაკულტეტებზე, 72 კაცი ბიოლოგიურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე და 70 კაცი ქიმიურ ფაკულტეტზე. ფიზკულტურულ ფაკულტეტზე მიღება გაგრძელებულია 5 სექტემბრამდე.

მისაღებად განსაზღვრული კონტინგენტი —870 კაცი—შევსებულია; ამ ვაკანსიების ნაწილი დაეთმო იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადმოდიან.

კონკურსში ვერ მოხვდა დაახლოებით 200 კაცი; ამ 200 კაციდან მსურველებს მიიღებენ გორის სამასწავლებლო ინსტიტუტში.

გამოცდებმა ცხადჰყვეს, რომ საშუალო სკოლებს 1936 წელთან შედარებით გაცილებით უკეთ მოუმზადებიათ ახალგაზრდობა. მაშინ კონტინგენტის შესავსებად არ იყო საკმაო რაოდენობა, იმ პირთა, რომლებმაც გამოცდები ჩააბარეს სუსტი ნიშნების მიუღებლად, ხოლო ახლა 1045 კაცში სუსტი ნიშანი არავის ჰქონია.

გამოცდილ პირთაგან გამოცდები ვერ ჩააბარა მათემატიკაში—წერითი 25 პროცენტმა და ზეპირი — 22 პროცენტმა. უფრო სუსტი აღმოჩნდა ცოდნა გეოგრაფიაში: „ჩაიჭრა" 30 პროცენტამდე. დანარჩენ დისციპლინებში იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც გამოცდა ვერ ჩააბარეს, ქანაობდა 18-დან 30 პროცენტამდე (საქდესი).

# მავნებლები სიღნაღის განათლების განყოფილებიდან

ხალხის მტრები თავიანთი მავნებლურ მუშაობას მარტო სოციალიზმის მშენებლობის ცალკეულ უბნებზე კი არ აწარმოებდნენ, ისინი ყველგან იჭრებოდნენ, სადაც კი ბოლშევიკური სიფხიზლე მოდუნებული იყო.

განათლების ფრონტზე მემარჯვენე კონტრრევოლუციონერი გარეწრები, ქვეწარმავალი ტროცკისტები, ჯაშუშ-დივერსანტები ყოველნაირად ცდილობდნენ, უკმაყოფილება შეეტანათ მშრომელ მოსახლეობაში და მოსწავლეებში, აფერხებდნენ სწავლის პროცესს, სკოლაში მასწავლებლებად უშვებდნენ ისეთ პირებს, რომლებიც თესავდნენ შუღლს მოსწავლეთა და მშობელთა შორის, განზრახ აჭიანურებდნენ სასკოლო მშენებლობას და ხშირად შლიდნენ მას.

განათლების სახალხო კომისარიატში მოკალათებულ ხალხის მტრებს—გეგენავა ბარამიძეს სიღნაღის განათლების განყოფილების გამგის პოსტზე თავიანთ აგენტად ჰყავდათ ყოვლად ზნედაცემული და გადაგვარებული დიომიდე თოფურია. მავნებელმა თოფურიამ მთლიანად ჩაშალა სასწავლო წელი სიღნაღის რაიონში: 1936-37 სასწავლო წელი დაამთავრა საერთო წარმატების 60 პროცენტით.

მეხიღბული თოფურია ყველაფერს სჩადიოდა, ოღონდ შეესრულებია ხალხის მტრების-სიღნაღის პარტრაიკომის ყოფილი მდივნების, საზიზღარი მოღალატეების ა. წითლიძისა და მ. მესტიაშვილის მავნებლური დავალებები.

თოფურიას ხელმძღვანელობა სკოლებზე იმაში გამოიხატებოდა, რომ ის სოფლებში გადიოდა მხოლოდ საქეიფოდ და დღეში 16 კლასს „არკვევდა": ასეთივე „გამორკვევას" ავალებდა ის ინსტრუქტორებსაც. თოფურიამ მთელი წლის განმავლობაში არ მოაგვარა მასწავლებელთათვის მეთოდური დახმარება. მოწვეული იქნა მხოლოდ ერთხელ დირექტორთა და გამგეთა სარაიონო თათბირი, სადაც განიხილეს 14 საკითხი (ყველა ოოგანიზაციული).

თოფურიამ ჩაშალა კონსტიტუციის სწავლება რაიონის სკოლებში, (ქვ. ბოდბე, ჯუგაანი. ქვემო მაჩხაანი), აკრძალა სკოლებში თვალსაჩინოების ხმარება-გამოყენება, სურათებისა და სხვა ხელსაწყოების შეძენა.

რაიონის მთელ რიგ სკოლებში (ნუკრიახი, ზ. მაჩხაანი, ვაქირი, ახაგა, წითელი წყარო და სხვა). გაიძვერა თოფურიას მოწყობილი ჰყავდა თავისიანები, ეულიკები, უვარგისი ადამიანები, რომლებიც სდევნიდნენ საუცხოვო კადრებს.

ხალხის მტერმა თოფურიამ დაისაკუთრა მთელი რიგი თანამდებობანი. იგი იყო კვალიფიკაციის ამაღლების კურსების, დ. პ.ი-ს ფილიალის, პედკაბინეტისა და სხვ. გამგედ. იღებდა ხელფასს, მუშაობას კი შლიდა. დ. პ.ი-ს 1-ლ კურსზე პოლიტეკონომიის მთელი წლის კურსი „ამოწურა" 4 საათში, დ. პ. ი.-ს ყოფილი დირექტორი. ახლა გამომჟღავნებული ხალხის მტერი, კარპეზ ბერიძე მას ხელს აფარებდა. იმდენად გაიძვერობდა თოფურია, რომ ამ ზათხულის პერიოდში ბორჯომ-ბაღში მოწყობილ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ერთთვიან კურსებსაც დირექტორობდა. ის დაუსწრებელი დირექტორი იყო. მას უნდა წაეკითხა კონსტიტუცია, მაგრამ მავნებელი რის მავნებელია, თუ კი არ ჩაშლის სწავლების საქმეს? ნაცვლად 20 საათისა წაიკითხა 4 საათი. კურსების პირობები ძლიერ ცუდი იყო. კურსანტები დაავადდნენ. მიმართეს კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტს. მაგრამ უილაჯო დირექციამ ყურადღებაც არ მიაქცია ამ მიმართვას. როდესაც თოფურიას სიღნაღში შეეკითხნენ. თუ რატომ წავიდა ის ბორჯომში ერთ თვეში ორჯერ. ამაზე მან უპასუხა: „ცოლი მყავს ავად და მის სანახავად მივდივარო". აი, როგორ გაიძვერობდა იგი!

თოფურია არაფრად აგდებდა ადგილობრივ კადრებს. მან შეჰქმნა თავისი კაცების „არტელი": სიღნაღში ჩამოიყვანა თავისიანები — დარაჯის თანამდებობაზედაც კი. თოფურია ამბობდა: „ჩემს მიერ მოყვანილი დარაჯი მირჩევნია აქაურ დირექტორებსო". ინსპექტორებად დასვა უვიცი ადამიანები.

6 წელია, რაც შენდება და არ ეღირსა დამთავრება ზ. მაჩხაანის, წითელწყაროს, ახაგას და სხვა სოფლების სკოლის შენობებს. მავნებელი თოფურია და რაიაღმასკომის ყოფილი თავ-რე, ხალხის მტერი, შ. ალავერდაშვილი განზრახ აჭიანურებდნენ სასკოლო მშენებლობას.

განმეორებითი გამოცდების ჩატარება რაიონში უპატრონოდაა მიტოვებული. თოფურიამ ყველა დირექტორი და მოადგილე გაუშვა შვებულებაში. მე-7 და მე-10 კლასების იმ მოსწავლეებს, რომელთაც ჰქონდათ განმეორებითი გამოცდები, აღარ ეძლევათ საშუალება გააგრძელონ მეცადინეობა სხვა სკოლებში (ზ. მაჩხაანი, წითელი წყარო, ვაქირი, ჯუგაანი, ქვ. მაჩხაანი).

ჩაშლის პირზეა მიყვანილი დაწყებითი სკოლის პირველ კლასში ბავშვთა მიღების საქმე (ზ. მაჩხაანი, ტიბაანი, საქობო და სხვ.). მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის მოწმობები და დამთავრების ატესტატები თოფურიამ სკოლებს არ მისცა აგრეთვე მავნებლური მიზნებით.

სასკოლო და სასოფლო ბიბლიოთეკები სავსეა კონტრრევოლუციური ლიტერატურით. გამგეების მომართვაზე, რა უყონ ამ ნაგავს. თოფურია პასუხობს: „შენ თუ იცი, რომ კონტრრევოლუციურია. ნუ წაიკითხავ: სხვას თუ სურს. წაიკითხოს. შენ რა გენაღვლება?". თოფურიამ არ გააუქმებინა მთელი რიგი უვარგისი წიგნები.

საჭიროა თოფურიას და მისი დამქაშების მიერ ჩადენილ მავნებლობის შედეგების სასწრაფო ლიკვიდაცია.

**მ. ცაკაშვილი.**

# სწავლის განახლებისათვის მზად არიან

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება სოფელ ფუთის (ჯულელის რ.) არასრულ საშუალო სკოლამ თავის დროზე დაიწყო. შეკეთებულია მთელი ინვენტარი, შეძენილია რუკები. გაშპალიერებულია კედლები, ლამაზად მოეწყო სამასწავლებლო ოთახი და სხვ. შერჩეულია კვალიფიციური მასწავლებლები.

ზაფხულის განმავლობაში დიდ მუშაობას აწარმოებდა კომკავშირის სასკოლო ორგანიზაცია, რომელიც დირექციას პრაქტიკულად ეხმარებოდა სკოლის კეთილმოწყობის საქმეში.

**კ. ვ—ძე**

პ/მგ. რედაქტორი გრ. სოხელია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თუმანიშვილის ქ. № 3, ტელ. № 3—67—47.

სილ. თოდრიას სახ. გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბა. გამ. ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 31533